თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება №927

„13“ ივლისი 2016 წ. ქ. თელავი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86[1]-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის (შემდგომ ტექსტში - თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი) სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) გურამ ურჩუხიშვილი - თელავის მუზეუმის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე (პირადი №20001000217);

ბ) ლია ჯავახიშვილი - ვარდისუბნის ბიბლიოთეკის გამგე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (პირადი №20001037894);

გ) ნინო ჯიჯურიძე - ლალისყურის საბავშო ბაღის პედაგოგი - წევრი (პირადი №20001006195);

დ) მარინა ჩაჩხიანი - კონდოლის საჯარო სკოლის პედაგოგი - წევრი (პირადი №20001024552);

ე) შირვან ალიევი - სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე - წევრი (პირადი №20001002250);

ვ) ლალი კაპანაძე - კურდღელაურის საჯარო სკოლის პედაგოგი - წევრი (პირადი №20001007393);

ზ) თინათინ მარკოზაშვილი - მოქალაქე - წევრი (პირადი №20001051866);

თ) ნათელა ლაჩაშვილი - მოქალაქე - წევრი (პირადი №20001043382);

ი) ნიკო კაჭკაჭიშვილი - მოქალაქე - წევრი (პირადი №20001037212);

კ) ზურა ხმიადაშვილი - მოქალაქე - წევრი (პირადი №20001019100);

ლ) ბექა ნაობიშვილი - მოქალაქე - წევრი (პირადი №20001042725);

მ) მერაბი ჭიჭაშვილი - მოქალაქე - წევრი (პირადი №20001053016);

ნ) ალექსი იობაშვილი - მცირე ბიზნესმენი - წევრი (პირადი №20001000936);

ო) ვასიკო ხელხელაური - მცირე მეწარმე - წევრი (პირადი №8001001362);

პ) თემური ყურაშვილი - ფერმერი - წევრი (პირადი №20001008516);

ჟ) ვეფხია ყორიაული - ფერმერი - წევრი (პირადი №20001043842);

რ) ანრი ჩხუბიანიშვილი - ქალაქ თელავის პირველი საჯარო სკოლის მანდატური - წევრი (პირადი №20001063574);

2. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თანდართული დებულება.

3. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით.

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

დანართი

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის (შემდგომ ტექსტში - გამგებელი) სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომ ტექსტში - საბჭო) შექმნის, საქმიანობის, რეკომენდაციათა შემუშავების და საბჭოს გამგებელთან ურთიერთობის წესსა და პირობებს.

2. საბჭო წარმოადგენს გამგებლის სათათბირო ორგანოს.

3. საბჭო იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, სამოქალაქო ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

4. საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა და მისი ფორმირების წესი

1. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს გამგებელი.

2. საბჭო შედგება არანაკლებ 10 წევრისაგან, სადაც ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

3. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.

მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა, ხელმძღვანელობა, მუშაობისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი

1. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. საბჭოს თავმჯდომარეს და მოადგილეს ნიშნავს გამგებელი, ხოლო მდივნის ფუნქციას საბჭოს ერთ-ერთ წევრს აკისრებს საბჭო.

2. საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოფს საბჭოს მიზნების, ამოცანების და უფლება - ვალდებულებების შესრულებას. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.

3. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ოქმების შედგენას და აღრიცხვას. მდივანი ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომებს და სხვა საქმიანობას.

4. საბჭო უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის განხილვისას, წინადადების/რეკომენდაციის შემუშავებისას მოიწვიოს სხვადასხვა სფეროს ექსპერტები და სპეციალისტები. ექსპერტები და სპეციალისტები მონაწილეობენ საბჭოს მუშაობაში და რჩევებს/მოსაზრებებს/დასკვნებს და რეკომენდაციებს აწვდიან საბჭოს. საბჭოს მიერ ექსპერტის ან სპეციალისტის მოწვევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე კონკრეტული მიმართულებით კონსულტაციის მიღების მიზნით.

5. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომაზე. საბჭო იკრიბება საჭიროებიდან გამომდინარე ნებისმიერ დროს, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. საბჭოს სხდომის მოწვევა ხდება საბჭოს თავმჯდომარის მიერ საბჭოს წევრების შესაბამისი ინფორმირების მეშვეობით.

6. საბჭოს მდივანი თავმჯდომარის დავალებით ადგენს დღის წესრიგს და მას წინასწარ აწვდის საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საბჭოს სხდომის გამართვის ადგილის, თარიღის, დროის და დღის წესრიგის თაობაზე.

7. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება სიითი შემაგენლობის ნახევარზე მეტი მაინც. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. საბჭოს წევრების ხმათა თანასწორობის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

8. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 4. საბჭოსა და გამგებლის ურთიერთობები

1. გამგებელი ვალდებულია საბჭოს განსახილველად წარუდგინოს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

2. საბჭო საკითხის სხდომაზე განხილვის შემდგომ შესაბამის რეკომენდაციას/წინადადებას წერილობით წარუდგენს გამგებელს. საბჭო უფლებამოსილია გამგებელს წარუდგინოს თავისი რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნა:

ა) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც განსახილველად გადაეცა საბჭოს;

ბ) საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შედის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში და რომლის განხილვაც მიზანშეწონილად ჩათვალა საბჭომ.

3. გამგებელი უფლებამოსილია არ გაიზიაროს საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საკითხების საბჭოს მიერ არ განხილვა გამგებლისათვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

5. გამგებლის მიერ საბჭოსათვის სამუშაო მასალების (კორესპონდენციების, პროექტების) გადაცემა და მეორეს მხრივ საბჭოდან გამგებლისათვის შესაბამისი წინადადებების (რეკომენდაციების) გადაცემა ხორციელდება უშუალოდ, კანცელარიაში მოძრაობის გარეშე.

მუხლი 5. საბჭოს მატერილურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. გამგებელი საბჭოს უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო ფართითა და სამუშაო მასალებით.

2. კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში გამგებელი ხელს უწყობს საბჭოს სამოქალაქო ინიციატივების, პროექტების და სხვა აქტივობების რეალიზებაში.

3. საბჭოს კონკრეტული საქმიანობა და ინიციატივები ასევე შესაძლებელია დაფინანსებულ იქნეს კერძო პირების მიერ

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი